საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის ბრძანება

N 275 2013 წლის 14 ივნისი ქ. თბილისი

წლის განმავლობაში მოსაკრებლის გადახდის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ

1. „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 1 ნოემბრის N1553 ბრძანების შესაბამისად, ვბრძანებ:

ა) საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ წლის განმავლობაში მოსაკრებლის გადახდის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობა განისაზღვროს:

ა.ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი - 500 გვერდი;

ა.ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ასლი - 500 გვერდი.

ბ) ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში საქართველოს მთავრობის კანცელარიის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი გასაცემი ინფორმაციის მცირე მოცულობის (არა უმეტეს 10 გვერდი) ან ფიზიკური

პირის შუამდგომლობის საფუძველზე, მისი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე ერთჯერადად გასაცემი საჯარო ინფორმაციის ოდენობის შესახებ.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წლის განმავლობაში მოსაკრებლის გადახდის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012 წლის 5 ივნისის N38 ბრძანება.

მაია ცქიტიშვილი